

გენერალური ასამბლეის მიერ 2014 წლის 29 იანვარს მიღებული რეზოლუცია

68/261. ოფიციალური სტატისტიკის ფუძემდებლური პრინციპები

გენერალური ასამბლეა,

ეყრდნობა რა გენერალური ასამბლეის და ეკონომიკური და სოციალური საბჭოს ბოლო რეზოლუციებს,¹ რომლებშიც ხაზგასმულია ოფიციალური სტატისტიკის ფუძემდებლური მნიშვნელობა განვითარების ეროვნული და გლობალური დღის წესრიგების მიზნებისთვის,

მხედველობაში იღებს რა მაღალი ხარისხის ოფიციალური სტატისტიკური ინფორმაციის გადამწყვეტ როლს ანალიზისა და ინფორმაციაზე დაფუძნებული პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებისთვის, რომლებიც დაკავშირებულია მდგრადი განვითარების, მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან, და აგრეთვე, მსოფლიოში სულ უფრო მზარდი ურთიერთდამოკიდებულების პირობებში, სახელმწიფოებსა და ხალხებს შორის ურთიერთგაგებასა და ვაჭრობასთან, რაც მოითხოვს გახსნილობას და გამჭვირვალობას,

მხედველობაში იღებს რა აგრეთვე იმას, რომ საზოგადოების არსებითი ნდობა ოფიციალური სტატისტიკური სისტემების მიუკერძოებლობისადმი და სტატისტიკური მონაცემებისადმი მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული ფუძემდებლური ფასეულობებისა და პრინციპების პატივისცემაზე, რომლებიც ნებისმიერი საზოგადოებისთვის თვითშეცნობისა და წევრთა უფლებების ურთიერთპატივისცემის საფუძველია, და რომ ამ თვალსაზრისით სტატისტიკური სააგენტოების პროფესიული დამოუკიდებლობა და პასუხისმგებლობა გადამწყვეტ როლს ასრულებს,

ხაზს უსვამს რა, რომ იმ ფუძემდებლური ღირებულებებისა და პრინციპების ეფექტურობის უზრუნველყოფა, რომლებიც საფუძვლად უდევს სტატისტიკურ სამუშაოებს, გარანტირებული უნდა იყოს იურიდიული და ინსტიტუციური ჩარჩოებით და დაცული უნდა იქნეს ყველა პოლიტიკურ დონეზე და ეროვნული სტატისტიკური სისტემების ყველა დაინტერესებული წრის მიერ,

იწონებს რა ქვემოთ მოცემულ ოფიციალური სტატისტიკის ფუძემდებლურ პრინციპებს, რომლებიც სტატისტიკურმა კომისიამ 1994 წელს² მიიღო და 2013 წელს ხელახლა დაადასტურა, და ეკონომიკურმა და სოციალურმა საბჭომ 2013 წლის 24 ივლისს 2013/21 რეზოლუციაში მოიწონა:

¹ ესენია: გენერალური ასამბლეის რეზოლუცია 64/267 (სტატისტიკის მსოფლიო დღე), ეკონომიკური და სოციალური საბჭოს რეზოლუციები 2005/13 (მსოფლიოს მოსახლეობის და საცხოვრისების 2010 წლის აღწერის პროგრამა), 2006/6 (სტატისტიკური პოტენციალის განმტკიცება) და 2013/21 (ოფიციალური სტატისტიკის ფუძემდებლური პრინციპები).

² თავდაპირველი პრეამბულის ტექსტი, რომელიც გამოყენებული იყო 1994 წელს ფუძემდებლური პრინციპების პირველი მიღებისას, იხილეთ სტატისტიკური კომისიის სპეციალური სხდომის ანგარიშის მე-5 თავში (ეკონომიკური და სოციალური საბჭოს ოფიციალური ჩანაწერები, დანართი №9 (E/1994/29), 1994 წელი). დამატებითი ინფორმაცია ფუძემდებლურ პრინციპებსა და მათ ისტორიაზე განთავსებულია სტატისტიკის სამმართველოს ვებ-საიტზე.

ოფიციალური სტატისტიკის ფუძემდებლური პრინციპები

პრინციპი 1. ოფიციალური სტატისტიკა წარმოადგენს დემოკრატიული საზოგადოების საინფორმაციო სისტემის აუცილებელ ელემენტს და უზრუნველყოფს მთავრობას, ეკონომიკასა და საზოგადოებას მონაცემებით ეკონომიკური, დემოგრაფიული, სოციალური და ეკოლოგიური მდგომარეობის შესახებ. ამ მიზნით სახელმწიფო სტატისტიკური დაწესებულებები ობიექტურ საფუძველზე ამზადებენ და ავრცელებენ პრაქტიკული ღირებულების მქონე სტატისტიკურ მონაცემებს საზოგადოებრივ ინფორმაციაზე მოქალაქეთა უფლების პატივისცემის უზრუნველსაყოფად.

პრინციპი 2. ოფიციალური სტატისტიკისადმი ნდობის შესანარჩუნებლად სტატისტიკური დაწესებულებები სტატისტიკური მონაცემების შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და წარდგენის მეთოდებთან და პროცედურებთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებს უნდა იღებდნენ მხოლოდ პროფესიული მოსაზრებების (მეცნიერული პრინციპებისა და პროფესიული ეთიკის ჩათვლით) შესაბამისად.

პრინციპი 3. მონაცემების სწორი ინტერპრეტაციის გასაადვილებლად სტატისტიკურმა დაწესებულებებმა ინფორმაცია უნდა წარმოადგინონ სტატისტიკის დარგში წყაროების, მეთოდებისა და პროცედურების შესახებ მეცნიერული სტანდარტების შესაბამისად.

პრინციპი 4. სტატისტიკურ დაწესებულებებს აქვთ სტატისტიკური მონაცემების არასწორი ინტერპრეტაციის ან არასწორი გამოყენების კომენტარების უფლება.

პრინციპი 5. მონაცემები სტატისტიკური მიზნებისათვის შეიძლება შეგროვდეს ყველა სახის წყაროდან, იქნება ეს სტატისტიკური გამოკვლევები თუ ადმინისტრაციული ანგარიშგება. სტატისტიკურმა დაწესებულებებმა უნდა შეარჩიონ წყარო ხარისხის, დროულობის, დანახარჯებისა და რესპონდენტების დატვირთვის გათვალისწინებით.

პრინციპი 6. პერსონალური მონაცემები, რომლებიც გროვდება სტატისტიკური დაწესებულებების მიერ სტატისტიკური ინფორმაციის მოსამზადებლად, იმის მიუხედავად, მიეკუთვნება ისინი ფიზიკურ თუ იურიდიულ პირებს, უნდა ატარებდეს მკაცრად კონფიდენციალურ ხასიათს და გამოიყენებოდეს მხოლოდ სტატისტიკური მიზნებისათვის.

პრინციპი 7. კანონები, ნორმები და ღონისძიებები, რომელთა ჩარჩოებშიც ფუნქციონირებენ სტატისტიკური სისტემები, საჯაროა და ექვემდებარება გამოქვეყნებას.

პრინციპი 8. სტატისტიკურ სისტემაში შეთანხმებულობის და ეფექტურობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია სტატისტიკური დაწესებულებების საქმიანობის კოორდინაცია ქვეყნების დონეზე.

პრინციპი 9. ყოველ ქვეყანაში სტატისტიკური დაწესებულებების მიერ საერთაშორისო ცნებების, კლასიფიკაციების და მეთოდების გამოყენება ხელს უწყობს ყველა ოფიციალურ დონეზე სტატისტიკური სისტემების შეთანხმებულობის და ეფექტურობის უზრუნველყოფას.

პრინციპი 10. სტატისტიკის დარგში ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობა ხელს უწყობს ყველა ქვეყანაში ოფიციალური სტატისტიკის სისტემების გაუმჯობესებას.